სამაგისტრო საგანმანათლებლო სასწავლო პროგრამა

ა) პროგრამის სახელწოდება: სოციოლოგია
Sociology

ბ) მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სოციოლოგიის მაგისტრი
Master of Sociology

გ) პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 კრედიტი

დ) სწავლების ენა: ქართული

ე) საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, რომელიც მიმართულია სტუდენტის კომპეტენციების გამომუშავებასა და დასაქმების სფეროს განსაზღვრაზე: სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზანია სოციოლოგიაში (აგრეთვე, ზოგადად, სოციალურ მეცნიერებებში) ბაკალავრიატის დონეზე შეძენილი ზოგადი განათლების კონკრეტული და სიღრმისეული გაფართოება როგორც სოციალურ-თეორიული, ისე, სოციოლოგიური კვლევის ემპირიული მეთოდების მიმართულებით. სამაგისტრო პროგრამის ერთიანობას უზრუნველყოფს კურსების სტრატეგიული კოორდინაცია და მთელი პროგრამისათვის რელევანტური სავალდებულო და არჩევითი კურსები, რომლებიც მაგისტრატურის დონეზე სოციოლოგიის კურიკულუმს კონცეპტუალურად ადეკვატურად ხდის.

ვ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- მინიმუმ ბაკალავრის ხარისხი;
- საერთო სამაგისტრო გამოცდა;
- გამოცდა სოციოლოგიაში;
- გასაუბრება სპეციალობასა და უცხო ენაში (ინგლისური B1).

ზ) სწავლის შედეგი:

ცოდნა და/გაცნობიერება - პროგრამის დასრულების შემდეგ სოციოლოგიის მაგისტრი ფლობს ღრმა და სისტემურ ცოდნას თანამედროვე სოციოლოგიის ძირითად თეორიებსა და კვლევის მეთოდებში. მას არა მხოლოდ შეუძლია ამ ცოდნის გაზიარება, არამედ მისი ოპერაციული გამოყენება.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - სოციოლოგიის მაგისტრი ფლობს სრულფასოვანი ემპირიული კვლევის ჩატარების უნარ-ჩვევებს (ანუ უნდა შეეძლოს თანამედროვე ემპირიული კვლევის მეთოდების ადეკვატური გამოყენება საზოგადოებისათვის აქტუალური საკითხების შესწავლისთვის); მას აქვს უნარი განსაზღვროს სხვადასხვა სოციალური პრობლემის კვლევის გზები და

აყალიბებს არსებით და ეფექტურ რეკომენდაციებს ამ პრობლემების გადასაჭრელად; აქვს უნარი, ჩაერთოს სხვადასხვა მეთოდით წარმართულ კვლევით პროექტებში როგორც უფროსი მკვლევარი ან თავად წაუძღვეს კვლევითი პროექტის განხორციელებას; ხარისხიანად და მაღალ დონეზე აწარმოებს კვლევას არსებული ეთიკური და პროფესიული სტანდარტების დაცვით.

დასკვნისუნარი - მაგისტრატურის კურსდამთავრებულს შეუძლია, რომ სოციოლოგიური მონაცემების დამოუკიდებლად დამუშავებისა და გაანალიზების საფუძველზე გააკეთოს დასკვნები შესასწავლი პრობლემის არსის, მისი გადაჭრის გზების შესახებ.

კომუნიკაციის უნარი - მაგისტრატურის კურსდამთავრებულს შეუძლია კომუნიკაცია დაამყაროს როგორც ქართულ, ისევე უცხო ენაზე ყველა იმ ადამიანთან თუ ჯგუფთან, რომლებიც მისი კვლევის ობიექტს წარმოადგენენ (რესპონდენტები, ექსპერტები, სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების წარმომადგენლები და სხვ.). მას განვითარებული აქვს სოციალური უნარები, კერძოდ, შეუძლია ჯგუფური მუშაობა, მათ შორის, ინტერდისციპლინარულ ჯგუფში მუშაობა.

სწავლის უნარი – მაგისტრს შეუძლია სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა და სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება. სოციოლოგიის მაგისტრს შეუძლია, რომ მის მიერ ათვისებული ცოდნა და გამოცდილება გადასცეს სხვებს.

ღირებულებები, რომლესაც შეიძენენ პროგრამის დასრულების შემდეგ:

- პროფესიული ეთიკის პრინციპების პატივისცემა
- კვლევის ობიექტის (ადამიანები, ჯგუფები) უფლებების, პირველრიგში, მათი ანონიმურობის დაცვა
- პლაგიატის უარყოფა
- ქსენოფობიური და ეთნო ცენტრისტული დამოკიდებულებების უარყოფა; განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასება და პატივისცემა;

მაგისტრატურის კურსდამთავრებულებს, აგრეთვე, გამომუშავებული აქვთ ზოგადი (ტრანსფერული) უნარები: აბსტრაქტული აზროვნება,მოვლენათა კრიტიკული ანალიზი და სინთეზი, ახალი იდეების გენერირება, ცოდნის მუდმივი განახლება, სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიება და ანალიზი, დისკუსიის წარმართვა, საკუთარი ნაშრომისა და მოსაზრებების საჯარო წარდგენა და ა.შ.

თ) სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: შედეგების მისაღწევად გამოყენებული იქნება სწავლებისა და სწავლის შემდეგი მეთოდები:

1. ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი;
2. წიგნზე მუშაობის მეთოდი;
3. წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის,ან ესსეს შესრულება, და ა.შ.;

4. პრაქტიკული მეთოდები, რომლებიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს ჩამოუყალიბებს: სასწავლო და პედაგოგიური პრაქტიკა, საველე მუშაობა და სხვ.

სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება, აგრეთვე, ისეთი მეთოდები,როგორიცაა:

1. დისკუსია, დებატები;
2. ჯგუფური მუშაობა(cooperative/collaborative);
3. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL);
4. შემთხვევის ანალიზი;
5. გონებრივი იერიში(Brain storming);
6. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება.

ი) სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა: სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს გარკვეულ თანაფარდობას შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას შორის. თითოეული სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება ხორციელდება 100–ქულიანი სისტემით. შეფასებები შეიძლება დაეყრდნოს შემდეგ აქტივობებს:

- დასწრება
- აქტიურობა სასემინარო ან პრაქტიკულ მეცადინეობაზე;
- საკონტროლო სამუშაო;
- საპრეზენტაციოდ მომზადებული მოხსენება;
- წერითი და ზეპირი საშინაო დავალებები;
- შუალედური გამოცდა;
- საბოლოო გამოცდა

დაუშვებელია დასკვნითი გამოცდის შეფასება 40 ქულაზე მეტით.

კ) სასწავლო გეგმა: იხ.დანართი

ლ) პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი

მ) დასაქმების სფეროები: სოციოლოგიის მაგისტრატურის კურსდამთავრებულს შეუძლია შრომითი საქმიანობის დაწყება ყველა იმ სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაციაში, რომელიც ზოგადი კვალიფიკაციის სოციოლოგს საჭიროებს. ასეთი კვალიფიკაცია კი პრინციპულად ყველა სფეროში არსებულ ორგანიზაციას შეიძლება დასჭირდეს.

ნ) დამატებითი ინფორმაცია: პროგრამას შეუძლია მოემსახუროს საშუალოდ 30–მდე სტუდენტს ყოველწლიურად.

სწავლის გაგრძელების საშუალება: სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგი უზრუნველყოფს კურსდამთავრებულის შემდგომ საფეხურზე-დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების საშუალებას.

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ:

სოციოლოგიის მიმართულებას ემსახურება თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;

უნივერსიტეტის რესურს ცენტრები;

თსუ ელექტრონული სწავლების პორტალი;

ელექტრონული ჟურნალები და ბაზები;

უნივერსიტეტისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა;

სტუდენტის რეგისტრაციისა და სასწავლო პროცესის მართვის საუნივერსიტეტო ქსელი;

გარდა ამისა,სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების რესურს ცენტრი, რომელიც მოიცავს: ექვს გარემონტებულ ოთახს (ფართი დაახლოებით 140 კვ.მ.); ბიბლიოთეკას, დაახლოებით 1400 წიგნით სოციალური მეცნიერებების სფეროში; 22 უახლესი მოდელის კომპიუტერს; 24 საათიან ინტერნეტ მომსახურებას (უკაბელო ინტერნეტი), 5 პრინტერს; ქსეროკოპირების მანქანას; პროექტორს; ფაქსს, სკანერს და ა .შ.

რესურს ცენტრი ღიაა 9-დან 18 საათამდე სამუშაო დღეებში. რესურს ცენტრის მომსახურებით ყოველდღიურად სარგებლობს 50–ზე მეტი სტუდენტი.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა: სამაგისტრო პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას ახდენს თსუ

სოციოლოგიის მაგისტრატურის
სასწავლო გეგმა

უნივერსიტეტი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფაკულტეტი: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა

მიმართულება: სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის

სასწავლო პროგრამის სახელწოდება: სოციოლოგია

სწავლების საფეხური: მაგისტრატურა

სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: იაგო კაჭკაჭიშვილი, პროფესორი

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: №57/2011, დანართი 60

პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები (თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების ნომერი და თარიღი): დადგენილება №100/2013- 9 სექტემბერი,2013; დადგენილება №113/2013-4 ოქტომბერი, 2013; დადგენილება № 9/2017 - 23 იანვარი, 2017; დადგენილება №21/2017 - 20 თებერვალი, 2017; დადგენილება № 90/2017 - 25 ივლისი, 2017; დადგენილება №199/2018 - 13 სექტემბერი, 2018

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2012-2013

პროგრამის სტრუქტურა

საფაკულტეტო კურსები/მოდულები										
საფაკულტეტო (საბაზისო) სავალდებულო კურსები/მოდულები - 80 კრედიტი (ECTS)										
№	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა (ECTS)	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში			სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში	საგანზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი/ ლექტორები
			ლექცია	სამუშაო ჯგუფი/ პრაქტიკუმი	შუალედური და დასკვნითი გამოცდები			შემოდგომა	გაზაფხული	
1	თანამედროვე სოციალური თეორიები 1	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე	✓		იაგო კაჭკაჭიშვილი
2	თანამედროვე სოციალური თეორიები 2	5	15	15	5	90	თანამედროვე სოციალური თეორიები 1		✓	ამირან ბერძენიშვილი
3	პოსტმოდერნული სოციალური თეორიები	5	15	15	5	90	თანამედროვე სოციალური თეორიები 2	✓		იაგო კაჭკაჭიშვილი
4	რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე		✓	ლია წულაძე
5	მონაცემთა ანალიზი	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე		✓	ნინო დურგლიშვილი
6	სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები 1	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე	✓		ლია წულაძე
7	სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები 2	5	15	15	4	91	სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები 1		✓	ლია წულაძე
8	პრაქტიკუმი სოციოლოგიაში 1	5	–	30	5	90	წინაპირობის გარეშე	✓		თამარ ხოშტარია
9	პრაქტიკუმი სოციოლოგიაში 2	5	–	30	5	90	პრაქტიკუმი სოციოლოგიაში 1		✓	თამარ ხოშტარია
10	პრაქტიკუმი სოციოლოგიაში 3	5	–	30	5	90	პრაქტიკუმი სოციოლოგიაში 2	✓		იაგო კაჭკაჭიშვილი თამარ ხოშტარია

11	სამაგისტრო ნაშრომი	30						✓	✓	
საფაკულტეტო (საბაზისო) არჩევითი კურსები - 30 კრედიტი (ECTS)										
1	კულტურის სოციოლოგია	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე		✓	ლალი სურმანიძე
2	პოლიტიკისა და ძალაუფლების სოციოლოგია	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე		✓	ამირან ბერძენიშვილი
3	სახელმწიფო და ეკონომიკა: სოციოლოგიური პერსპექტივა	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე	✓		ანა დიაკონიძე
4	ხელოვნების სოციოლოგია: პოსტმოდერნული დისკურსი	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე	✓		დავით ანდრიაძე
5	სუბკულტურის სოციოლოგია	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე		✓	ლია წულაძე
6	გენდერის სოციალურ - პოლიტიკური თეორია და პრაქტიკა	5	15	15	2	93	წინაპირობის გარეშე		✓	ლელა გაფრინდაშვილი
7	კვლევითი პროექტი	5	15	15	3	92	წინაპირობის გარეშე	✓		თამარ მახარაძე
8	სპეციალური ინგლისური ენა სოციალურ მეცნიერებებში	5	15	15	6	89	წინაპირობის გარეშე	✓		ნინო ბოლქვაძე
9	გლობალიზაცია და გლობალური პრობლემები *(ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევების სამაგისტრო პროგრამიდან)*	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე	✓		ზურაბ დავითაშვილი
10	პოლიტიკური მარკეტინგი და საარჩევნო კამპანია *(პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამიდან)*	5	15	30	6	74	წინაპირობის გარეშე	✓		მალხაზ მაცაბერიძე
11	ინდივიდუალიზმი და კოლექტივიზმი	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე		✓	ლალი სურმანიძე
12	კულტურის პოსტმოდერნული ტრანსფორმაციები	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე	✓		აკაკი ყულიჯანიშვილი
13	კულტურა და იდენტობები ცვალებად საზოგადოებაში	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე	✓		ლია წულაძე
14	საზოგადოება, სახელმწიფო და იდეოლოგიები *(პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამიდან)*	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე		✓	სალომე დუნდუა
15	შრომითი ურთიერთობები	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე		✓	მარინა მუსხელიშვილი

	საქართველოში ევროინტეგრაციის კონტექსტში									
16	მეხსიერების პოლიტიკა პოსტ-ტოტალიტარულ საზოგადოებაში	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე		✓	ბაქარ ბერეკაშვილი
17	ჯანდაცვის სოციოლოგია	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე		✓	თენგიზ ვერულავა
18	საქართველოს სახელმწიფო მართვის მოდელი და პარტიული სისტემა	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე	✓		ხათუნა ლაგაზიძე
19	დემოკრატია, სამოქალაქო საზოგადოება და სოციალური სტრუქტურა შედარებით პერსპექტივაში	5	30	15	5	75	წინაპირობის გარეშე	✓		მარინა მუსხელიშვილი
20	ომის, ძალადობის და სოციალური კონფლიქტის სოციოლოგია	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე	✓		იუჯინ (ევგენი) სლონიმეროვი
21	პოლიტიკური ინსტიტუტები: თეორია და საქართველოს რეალობა	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე		✓	გია ჟორჟოლიანი
22	პოსტკოლონიური და დეკოლონიური თეორიები	5	15	15	3	92	წინაპირობის გარეშე		✓	მაია ბარქაია
23	მონაცემთა ანალიზი STATA-ში	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე	✓		ალექსანდრე ცაგარელი
თავისუფალი კურსები/მოდულები - 10 კრედიტი (ECTS)										

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი